GRASS REFORMANDA

ააიპ „საქართველოს რეფორმების ასოციაცია"
წერილის რეგისტრაციის № 225
თარიღი: 5 06 2015 წ.

GRASS FACTCHECK

განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს

საჯარო ინფორმაციის გაცემაზე პასუხისმგებელ პირს

ბატონო/ქალბატონო,

„საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის" 37-ე მუხლის თანახმად, ამავე კოდექსის მე-40-ე მუხლით დადგენილ ვადაში გთხოვთ, მოგვაწოდოთ შემდეგი სახის საჯარო ინფორმაცია:

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2011 წლის 25 თებერვლის #30/ნ ბრძანების მე-10 მუხლის თანახმად, რომელიც ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების სახელმძღვანელოს გრიფის მინიჭებისა და საფასურის დადგენის წესს განსაზღვრავს, განმარტებულია, რომ სამინისტროს უფლება აქვს:

„აუცილებელი საზოგადოებრივი საჭიროებიდან გამომდინარე, საავტორო უფლების მფლობელის მიერ ჩვეულებრივი ლიცენზიის ან განსაკუთრებული ლიცენზიის ხელშეკრულებით გადაცემული გრიფმინიჭებული სახელმძღვანელოს გამოყენების უფლება გადასცეს ჩვეულებრივი ან განსაკუთრებული ლიცენზიის ხელშეკრულებით ნებისმიერ დაინტერესებულ პირს" - აღნიშნულიდან გამომდინარე ჩვენი კითხვები მდგომარეობს შემდეგში:

- 2013, 2014 წლებში უფასო სახელმძღვანელოების პროგრამის ამოქმედების ფარგლებში, კონკრეტულად რომელი აუცილებელი საზოგადოებრივი საჭიროებიდან გამომდინარე გამოიყენა განათლებისა და მეცნიერების სამინიტრომ აღნიშნული მუხლი და რატომ არ მოხდა უფასო სახელმძღვანელოების პროგრამის განხორციელება გამომცემლობებთან თანამშრომლობით?
- განათლებისა და მეცნიერების სამინისტრომ პრემიერი-მინისტრის განკარგულების საფუძველზე, 2013 და 2014 წლებში ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების სახელმძღვანელოების ბეჭდვა გამარტივებული შესყიდვის წესით განახორციელა. თუკი გავითვალისწინებთ იმას, რომ უფასო სახელმძღვანელოების პროგრამა ქვეყანაში უკვე ორი წელია არსებობს და სახელმძღვანელოების ბეჭდვისათვის საჭირო ტენდერის მომზადებას დროის თვალსაზრისით რაიმე შეფერხება არ უნდა მოჰყოლოდა, რატომ გახდა საჭირო „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ" კანონის 10^1 მუხლის გამოყენება, რომელიც სახელმწიფოებრივი და საზოგადოებრივი მნიშვნელობის ღონისძიების შეზღუდულ ვადებში შეუფერხებლად ჩატარებას უზრუნველყოფს?

პატივისცემით,

პაატა გაფრინდაშვილი

ფაქტ-მეტრის მთავარი რედაქტორი

„საქართველოს რეფორმების ასოციაციის" (GRASS) ვიცე-დირექტორი

მისამართი:
თბილისი, მიცკევიჩის ქ. #27
საკონტაქტო პირი:
ნატალია ვახტანგაშვილი
მობ: 555260927 / e-mail: n.vakhtangashvili@factcheck.ge